

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #99

ივლისი, 2007

იორგი (Jorgic) გერმანიის წინააღმდეგ - 74613/01

გადაწყვეტილება 12.7.2007 [V სექცია]

მე-7 მუხლი

მუხლი 7.1

Nullum crimen sine lege

განმცხადებლის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გენოციდის ცნების განმარტება შეუსაბამოდ ფართო იყო: *დარღვევას არ ქონდა ადგილი*

მე-6 მუხლი

სისხლის სამართალწარმოება

მუხლი 6.1

კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალი

განმცხადებლის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ გერმანიის სასამართლოებს არ ქონდათ მძიმე კატეგორიის სამართალდარღვევებისთვის, მათ შორის ბოსნიაში ჩადენილი გენოციდისთვის, მისი გასამართლების იურისდიქცია: *დარღვევას არ ქონდა ადგილი*

ფაქტები: 1995 წლის დეკემბერში ბოსნიიდან გერმანიაში დაბრუნებისას განმცხადებელი დააკავეს 1992 წლის მაისიდან სექტემბრამდე პერიოდში გენოციდში მონაწილეობის ბრალდებით. მის წინააღმდეგ არსებული ბრალდება მოიცავდა გასამხედროებული ჯგუფის შექმნას და სოფლის მუსლიმი მოსახლეობის მიმართ არასათანადო მოპყრობასა და მკვლელობებს, ასევე პირადად მის მიერ ამ მოსახლეობის წარმომადგენელთა სიცოცხლის მოსპობას. საბოლოო ჯამში მას მსჯავრი დაედო *inter alia* გენოციდისა და მკვლელობისთვის და მიესაჯა სამუდამო პატიმრობა. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოსათვის წარდგენილ განაცხადში ის ჩიოდა, რომ გერმანულმა

სასამართლოებმა არასწორად გაიგეს მის გასამართლებაზე მოქმედი იურისდიქცია და მათი მხრიდან გენოციდის განმარტებას არ ქონდა სამართლებრივი საფუძველი გერმანიის კანონმდებლობაში ან საერთაშორისო საჯარო სამართალში. ამ უკანასკნელ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა ამ საქმეზე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განსახილველ სამართალდარღვევებს ადგილი ქონდა ბოსნიაში, რადგანაც არსებობდა ლეგიტიმური კავშირის იქ არსებულ გერმანიის სამხედრო და ჰუმანიტარულ მისიებთან და განმცხადებელი 20 წელზე მეტია გერმანიაში ცხოვრობდა და იქვე დააპატიმრეს. პირველი ინსტანციის სასამართლო არ მიიჩნევდა რომ საერთაშორისო საჯარო სამართალით მას ჩამოერთმეული ქონდა ამ საქმის განხილვის უფლება, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე (ICTY) უარი განაცხადა სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ უნივერსალური იურისდიქციის პრინციპზე დაყრდნობით. რაც შეეხება გენოციდის დანაშაულის განმარტებას, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გამოთქმა „ჯგუფის განადგურება“ გულისხმობს ჯგუფის, როგორც გამორჩეული სოციალური ნაწილის განადგურებას და არა მის განადგურებას ბიოლოგიურ-ფიზიკური მნიშვნელობით. მან დაადგინა, რომ განმცხადებელი მოქმედებდა ბოსნიის ჩრდილოეთში მუსლიმთა ჯგუფის განადგურების განზრახვით. საკონსტიტუციო სასამართლომ განმცხადებლის საკონსტიტუციო საჩივარი არ მიიღო განსახილველად, დაადგინა რა, რომ არ დარღვეულა სისხლის სამართლის კანონის უკუმაღლის არ არსებობის პრინციპი, რამდენადაც შესაბამის ნორმათა ინტერპრეტაცია განჭვრეტადი იყო და შესაბამებოდა საერთაშორისო საჯარო სამართალში მათ მოქმედებას.

კანონმდებლობა: მუხლი 5.1.a და მუხლი 6.1 - გენოციდის შესახებ კონვენციის და გენოციდის ბრალდებით განმცხადებლის გასამართლებაზე მათი იურისდიქციის შესახებ გერმანული სასამართლოების განმარტება ფართოდ განმტკიცებულია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პრეცედენტულ სამართალში და ICTY-ის წესდებებსა და პრეცედენტულ სამართალში. უფრო მეტიც, ICTY-ის წესდების 9.1 მუხლი ადასტურებს გერმანიის სასამართლოების ხედვას ICTY-ისა და ეროვნული სასამართლოს კონკურენტულ იურისდიქციაზე, რომელიმე ქვეყნის ეროვნული სასამართლოების შეზღუდვის გარეშე. გერმანული სასამართლოების მიერ შესაფარდებელი დებულებებისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის წესების განმარტება არ იყო დაუსაბუთებელი. შესაბამისად, მათ გენოციდის ბრალდებით განმცხადებლის გასამართლებაზე იურისდიქციის დასადგენად მყარი საფუძვლები ქონდათ. აქედან გამომდინარე, დაცული იყო განმცხადებლის გასამართლება „კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალის მიერ“ (მუხლი 6.1) და კანონიერი დაპატიმრება „კომპეტენტური სასამართლოს მიერ“ (მუხლი 5.1) მსჯავრდების შედეგად.

დადგენილება: დარღვევას ადგილი არ ქონდა (ერთხმად).

მე-7 მუხლი - მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სახელმწიფო ორგანო ამჟობინებს გენოციდის დანაშაულის ვიწრო განმარტებას, უკვე რამდენიმე სახელმწიფო ორგანომ, გერმანული სასამართლოების მსგავსად, უპირატესობა მიანიჭა ფართო განმარტებას. ამ ვითარებაში [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე. შესაბამისად, გენოციდის დანაშაულის ეროვნული სასამართლოებისეული განმარტება შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს სამართალდარღვევის შესატყვისად და შესაბამის დროს განმცხადებლის მიერ გონივრულად განჭვრეტადად. ვინაიდან ეს მოთხოვნები დაცული იყო, გერმანული სასამართლოების გადასაწყვეტი იყო ეროვნული კანონმდებლობის თანახმად გენოციდის დანაშაულის რომელ განმარტებას გაიზიარებდნენ.

დადგენილება: დარღვევას ადგილი არ ქონდა (ერთხმად).

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული ეს მოკლე შეჯამება სავალდებულო არ არის
სასამართლოსთვის

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.